# საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

## გადაწყვეტილება №254

2012 წ. "14" 08

ქ. თბილისი

**შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების შესახებ**

დაწესებულების მიერ თვითშეფასების ანგარიშში ასახული ინფორმაციის, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე დაინტერესებული მხარის მიერ დაფიქსირებული პოზიციის შესწავლის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების" 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად,

**საბჭომ გადაწყვიტა:**

1. შპს - თბილისის ტურიზმის აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 404398923) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

| № | პროგრამის დასახელება | პროფესიული განათლების საფეხური | მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია | კრედიტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| 1. | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | მეორე | ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეორე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია | 25 |
| 2. | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | მესამე | ინეტერნეტტექნოლოგის(ვებსპეცი ალისტის)მესამე საფეხური პეოფესიული კვალიფიკაცია | 20 |
| 3. | ინტერნეტტექნოგი (ვებსპეციალისტი) | მეოთხე | ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეოთხე საფეხური პროფესიული | 60 |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| | | | კვალიფიკაცია | |
| 4 | ინტერნეტტექნოლოგი (ვებსპეციალისტი) | მეხუთე | ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტის) მეხუთე საფეხური პროფესიული კვალიფიკაცია | 60 |
| 5 | მუსიკოს-რეპეტიტორი | მეხუთე | მუსიკოს-რეპეტიტორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია | 120 |
| 6 | კორესპონდენტი | მესამე | კორესპონდენტის მესამე საფეხურის კვალიფიკაცია | 30 |

2. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს 2012 წლის 14 აგვისტოს №19 სხდომის ოქმის მე-14 ნაწილი ცნობილ იქნეს ამ გადაწყვეტილების განუყოფელ ნაწილად.

3. საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის შეტანის გზით შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6.

თავმჯდომარე
დავით კახნიაშვილი

მდივანი
ანა კლდიაშვილი